



სდასუ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა

სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. სადისერტაციო საბჭო

მუხლი 1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო

- 1.1 შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში: “სდასუ”) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო არის სდასუ-ს სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭო (შემდგომში: “სადისერტაციო საბჭო”).
- 1.2 სადისერტაციო საბჭო საქმიანობას წარმართავს აკადემიური ავტონომიურობის პრინციპზე დაყრდნობით.
- 1.3 სადისერტაციო საბჭო მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების, დეკლარაციების, კონვენციებისა და კომუნიკაციების, აგრეთვე სდასუ-ს დებულების, დოქტორანტურის სტანდარტის, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის რეგულირების წესის, სამართლის სკოლის დებულების, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის წინამდებარე დებულების საფუძველზე.

მუხლი 2. სადისერტაციო საბჭოს ძირითადი მიზნები

2.1 სადისერტაციო საბჭოს ძირითადი მიზნებია:

- ა) სამეცნიერო საქმიანობის უნარის მქონე პირების გამოვლენა და მათი ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე და კონკურენტუნარიანი სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური კადრების მომზადება;
- ბ) უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის ინტერნაციონალიზაცია, უნივერსიტეტის განათლების ევროპულ სივრცესა და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრაცია, დოქტორანტთა საერთაშორისო მობილობის წახალისება.

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

3.1 სადისერტაციო საბჭო:

- ა) სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით, ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს;
- ბ) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, სადისერტაციო საბჭოს წევრებიდან ირჩევს სადისერტაციო საბჭოს მდივანს ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;
- გ) განიხილავს სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისა და შეჩერების საკითხს;
- დ) შეიმუშავებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის კრიტერიუმებს;
- ე) განსაზღვრავს რევენზირებად/რეფერირებად სამეცნიერო გამოცემათა ჩამონათვალს, რომელშიც სასურველია დოქტორანტმა გამოაქვეყნოს სამეცნიერო ნაშრომი;
- ვ) იხილავს და ამტკიცებს სადისერტაციო თემებს (დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში);
- ზ) ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს (დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში);
- თ) წყვეტს სადისერტაციო თემისა და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის საკითხებს;
- ი) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისთვის დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე;

- კ) ანიჭებს სამართლის დოქტორის აკადემიურ ხარისხს;
- ლ) აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის შესახებ;
- მ) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს აღიარებულ მეცნიერს სდასუ-ს სამართლის საპატიო დოქტორის წოდების მისანიჭებლად;
- ნ) ისმენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, არაუგვიანეს ერთი თვისა სასწავლო წლის დაწყებიდან ან, საჭიროებისამებრ, ნებისმიერ დროს, სადისერტაციო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით;

3.2 ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და სდასუ-ს დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა

- 4.1 სდასუ-ს სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭო შედგება ამავე სკოლის ყველა პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ პროფესორებისაგან;
- 4.2 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნენ სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე სხვა პირები.

მუხლი 5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

- 5.1 სადისერტაციო საბჭოს მიმდინარე საქმიანობას წარმართავს და ახორციელებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.
- 5.2 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა სამი წლის ვადით.
- 5.3 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს წევრთა არანაკლებ სამკაცრიან ჯგუფს კანდიდატის წინასწარი თანხმობით.
- 5.4 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სამართლის სკოლის დეკანი.
- 5.5 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:
 - ა) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას;
 - ბ) ანგარიშვალდებულია სადისერტაციო საბჭოს წინაშე;
 - გ) წარმოადგენს სადისერტაციო საბჭოს სდასუ-ს აკადემიური საბჭოსა და რექტორის, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წინაშე;
 - დ) თავმჯდომარეობს სადისერტაციო საბჭოს სხდომებს;
 - ე) სადისერტაციო საბჭოს სახელით ნიშნავს დისერტაციის ოპონენტებს;
 - ვ) სადისერტაციო საბჭოს სახელით ნიშნავს დისერტაციის დაცვას;
 - ზ) სადისერტაციო საბჭოს სახელით, ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტებს.
- 5.6 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს საქმიანობას წარმართავს თავმჯდომარის ან საბჭოს მიერ შერჩეული საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 6. სადისერტაციო საბჭოს მდივანი

- 6.1 სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და საქმისწარმოებას ახორციელებს სადისერტაციო საბჭოს მდივანი.
- 6.2 სადისერტაციო საბჭოს მდივანი:
 - ა) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს სახელზე შემოსული დისერტაციების და პუბლიკაციების, აგრეთვე წერილებისა და დოკუმენტების აღრიცხვა-შენახვას;
 - ბ) ამზადებს წერილებისა და სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტებს;
 - გ) ამზადებს სადისერტაციო საბჭოს სხდომებს;
 - დ) უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას;

- ე) პასუხისმგებელია სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურისა და ფორმალური სტანდარტების დაცვაზე;
- ვ) აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს არქივს.

მუხლი 7. სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერება/შეწყვეტა

სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების/შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო. შეჩერება/შეწყვეტასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 8. სადისერტაციო საბჭოს სხდომების ჩატარების პერიოდულობა

- 8.1 სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სემესტრში ერთხელ მაინც.
- 8.2 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს: საკუთარი ინიციატივით, დეკანის, სადისერტაციო საბჭოს მდივნის, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ან სადისერტაციო საბჭოს არანაკლებ სამი წევრის მოთხოვნით.

მუხლი 9. სხდომების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

- 9.1 სადისერტაციო საბჭოს სხდომებს ესწრებიან სადისერტაციო საბჭოს წევრები.
- 9.2 საჭიროებიდან გამომდინარე სადისერტაციო საბჭოს მიერ მოწვეულ პირებს უფლება აქვთ დაესწრონ სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.
- 9.3 დაინტერესებულ პირთა მხრიდან სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში, სხდომაზე ან მის ნაწილზე დაშვების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.
- 9.4 სადისერტაციო საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობს სადისერტაციო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- 9.5 თუ წინამდებარე დებულებით სხვა წესი არ არის დადგენილი, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
- 9.6 სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი ხმების რაოდენობა იანგარიშება სადისერტაციო საბჭოს სიითი შემადგენლობიდან უფლებამოსილებაშეჩერებულ წევრთა რიცხვის გამოკლებით.

მუხლი 10. სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი

- 10.1 სადისერტაციო საბჭოს წევრთა შეკრებისა და სხდომის ჩატარების, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების ფაქტზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
- 10.2 სადისერტაციო საბჭოს სხდომების ოქმები ინახება მდივანთან, არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა სდასუ-ს არქივს.

თავი II დოქტორანტურა

მუხლი 11. დოქტორანტურის სტატუსი

- 11.1 სდასუ-ს სამართლის სკოლის დოქტორანტურა (შემდგომში “დოქტორანტურა”) არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური, რომელიც მიზნად ისახავს სამართლის მიმართულებით სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
- 11.2 დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს სდასუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამართლის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

11.3 დოქტორანტურაში სწავლა, დისერტაციის დაცვა და დოქტორანტისთვის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხორციელდება წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 12. სამართლის სადოქტორო პროგრამა

- 12.1 სამართლის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია სამართლის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერულ კვლევაზე, სამართლის მეცნიერების, სამართლებრივი აზროვნებისა და სამართლის სისტემების განვითარების ხელშეწყობაზე.
- 12.2 სამართლის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს სამართლის სფეროს უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნის გენერირება, მაღალ მეცნიერულ დონეზე კვლევის პროცესის ჩამოყალიბება, დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის თანამედროვე მეთოდებით სარგებლობა.
- 12.3 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დეკანის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
- 12.4 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც სდასუ-ს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ისე სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში მოწვეული წევრი. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს პროგრამის შემუშავების პროცესს; უზრუნველყოფს პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, პროგრამის განვითარებას უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და სტრატეგიის შესაბამისად; სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას კურიკულუმის შესახებ; სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად, კონსულტაციას უწევს დოქტორანტს ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმის შედგენაში; ახორციელებს დოქტორანტების კვლევითი და აკადემიური საქმიანობის მონიტორინგს; პასუხისმგებელია პროგრამის თანამედროვე სასწავლო მასალით უზრუნველყოფაზე; მონაწილეობს პროგრამის შეფასებაში, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის მოდიფიცირების მიზნით ორგანიზებას უკეთებს სამუშაო ჯგუფის შექმნას და ხელმძღვანელობს მის მუშაობას, აგვარებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს და სხვ.
- 12.5 სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ:
- ა) სდასუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი სათანადო კომპეტენცია - დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და სხვ.
 - ბ) პარტნიორი დაწესებულებების მეცნიერები.
- 12.6 სადოქტორო პროგრამა განთავსდება სდასუ-ს ვებ-გვერდზე.

მუხლი 13. სადოქტორო პროგრამის აღწერილობა

- 13.1 სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.
- 13.2 სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელია და სასწავლო კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს (1 კრედიტი = 25 სთ).

მუხლი 14. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი

- 14.1 სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ქმნის თეორიულ საწინდარს დამოუკიდებელი კვლევების წარმოებისთვის, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.
- 14.2 სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ელემენტებისაგან.
- 14.3 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი ელემენტების შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/კომპონენტი ახლიდან აქვს შესასწავლი.

14.4 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ყველა აქტივობის შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება ინდივიდუალურად სასწავლო კურსების/კომპონენტების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ 31 ქულისა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია.

მუხლი 15. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი

- 15.1 სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დამოუკიდებელ მკვლევარად ჩამოყალიბებას.
- 15.2 სადოქტორო პროგრამის კვლევით კომპონენტს შეადგენს სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა.
- 15.3 სადისერტაციო ნაშრომი უნდა პასუხობდეს წინამდებარე დებულების 28-ე მუხლის მოთხოვნებს.
- 15.4 სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პირობებს განსაზღვრება ამ დებულების 30-ე და 33-ე მუხლების შესაბამისად.
- 15.5 სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
- 15.6 სადისერტაციო ნაშრომის შეფასება განხორციელდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) დანართი N 4 შესაბამისად.

მუხლი 16. დოქტორანტის ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმა

- 16.1 დოქტორანტის ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმა (შემდგომში „ინდივიდუალური გეგმა“) (დანართი N 3) დგება სადისერტაციო თემის და სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცებიდან არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში, სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
- 16.2 დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმაში აისახება სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტების ფარგლებში სავალდებულო და არჩევითი ელემენტების შემადგენლობა, დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტების დასაძლევად შესასრულებელი სამუშაოს (კრედიტების მოპოვების) სემესტრების მიხედვით გაწერილი სავარაუდო გრაფიკი, აგრეთვე მოცემული უნდა იყოს განსახორციელებელი სადისერტაციო კვლევის მიზნები და ამოცანები, სადისერტაციო თემის აქტუალობა, ჰიპოთეზა, სიახლე და მნიშვნელობა, სავარაუდო შედეგები, ნაშრომის სტრუქტურა და შესრულების სავარაუდო გრაფიკი.
- 16.3 დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას განიხილავს და ამტკიცებს სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭო.
- 16.4 დოქტორანტურაში სწავლის პროცესში პროგრესის შეფასების მიზნით, დოქტორანტი ყოველსემესტრულად წარსდგება სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წინაშე ანგარიშით კვლევითი კომპონენტის შესრულების შესახებ.

მუხლი 17. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

- 17.1 სამართლის სკოლის დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირს.
- 17.2 დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტმა გარე მობილობის საფუძველზე.
- 17.3 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს.

მუხლი 18. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობები

- 18.1 დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობაა სადისერტაციო თემის სავარაუდო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა და დოქტორანტობის კანდიდატა შესარჩევ კონკურსში გამარჯვება.
- 18.2 დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხოური (ინგლისური) ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც დგინდება სერტიფიკატის წარმოდგენით ან გამოცდის ჩაბარებით უცხოურ ენაში.
- 18.3 დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, მოეთხოვება აგრეთვე ქართული ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც დგინდება სერტიფიკატის წარმოდგენით ან გამოცდის ჩაბარებით ქართულ ენაში.
- 18.4 ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, საქართველოში ან უცხოეთში შესაბამის ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (რომლის ავთენტურობა დადასტურებული უნდა იყოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) წარმოდგენის შემთხვევაში.

მუხლი 19. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი

- 19.1 სადოქტორო პროგრამაზე მიღება ცხადდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
- 19.2 დოქტორანტურაში პირი ჩარიცხება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წინასწარ არჩეული სადისერტაციო თემით;
- 19.3 დოქტორანტურაში ჩარიცხვა შესაძლებელია უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ საკვლევ თემაზე;
- 19.4 დოქტორანტობის კანდიდატმა სდასუ-ს რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს განცხადება (დანართი 1).
განცხადებას თან ერთვის:
ა) განმცხადებლის რეზიუმე („CV“);
ბ) სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
გ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი.
დ) სადისერტაციო თემის სავარაუდო ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით;
ე) განმცხადებლის წერილობითი დასტური იმისა, რომ არ ირიცხება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში (დანართი N 2).
- 19.5 სადისერტაციო თემის სავარაუდო ხელმძღვანელის შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა იყოს შერჩეული თემის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა.
- 19.6 დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობაა დოქტორანტობის კანდიდატა შესარჩევ კონკურსში გამარჯვება, რომელიც ორი ეტაპისგან შედგება: პირველ ეტაპზე დოქტორანტობის კანდიდატი გამოცდას ჩააბარებს უცხოურ (ინგლისური) ენაში B2 დონეზე (საჭიროების შემთხვევაში – ქართულ ენაშიც) სდასუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილ კომისიასთან (შესაბამისი სერტიფიკატის ან უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არარსებობის შემთხვევაში); მეორე ეტაპზე დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი გასაუბრებას გაივლის სადისერტაციო საბჭოს წევრებისგან (სამართლის სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე) სდასუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილ დარგობრივ კომისიასთან;

- 19.7 დოქტორანტობის კანდიდატი წერილობითი სახით წარმოადგენს საკუთარ ხედვას (კონცეფციას) საკვლევ თემაში დანახული პრობლემების გადაჭრის გზების, კვლევის პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების და სავარაუდო შედეგების შესახებ.
- 19.8 შესარჩევ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში პირი დოქტორანტურაში ჩაირიცხება სკოლის დეკანის წარდგინებით, სდასუ-ს რექტორის ბრძანებით.
- 19.9 ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 20. დოქტორანტი

- 20.1. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით დოქტორანტურაში ჩარიცხული პირი იძენს სდასუ-ს დოქტორანტის სტატუსს.
- 20.2 დოქტორანტს უფლება აქვს:
- ა) აირჩიოს სადისერტაციო თემა;
 - ბ) აირჩიოს სამეცნიერო ხელმძღვანელი
 - გ) ისარგებლოს სდასუ-ს ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და ტექნიკური ბაზით.
- 20.2 დოქტორანტი ვალდებულია:
- ა) დაიცვას სდასუ-ს დებულება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, წინამდებარე დებულება და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
 - ბ) შეასრულოს ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმა;
 - გ) დარგობრივი კომისიის წინაშე ყოველსემესტრულად წარდგეს სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერით დადასტურებული ანგარიში კვლევითი კომპონენტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
 - დ) გადაიხადოს სწავლის საფასური ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.
- 20.3 ამ დებულების 20.2 „გ“ ქვეპუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 21. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

- 21.1 სადისერტაციო საბჭო უზრუნველყოფს დოქტორანტს ხელმძღვანელით.
- 21.2 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სდასუ-ს სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრი.
- 21.3 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი.
- 21.4 სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, მაღალი კომპეტენციის, უახლესი ცოდნით აღჭურვილი პირი, რომელსაც ექნება სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკასთან შესაბამისი კვლევის გამოცდილება და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი.

სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია:

- ✓ ზედამხედველობა გაუწიოს დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმის შედგენას და შესრულებას.
- ✓ აკონტროლოს კვლევის მიმდინარეობა და ხარისხი.
- ✓ დაეხმაროს მას კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში.
- ✓ დოქტორანტს აუხსნას სამეცნიერო შედეგებისა და სამეცნიერო ლიტერატურული წყაროების გამოყენების წესი, კორექტული ციტირების პრინციპები, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები და მათი დარღვევით გამოწვეული შესაძლო შედეგები.
- ✓ გაუწიოს რეგულარული კონსულტაციები ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის, კვლევის შედეგების წარდგენის, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების და სხვ. საკითხებში.

- ✓ პერიოდულად შეაფასოს დოქტორანტის პროგრესი. რისთვისაც დოქტორანტის ყოველსემესტრულ ანგარიშს განხორციელებული კვლევის შესახებ დარგობრივი კომისიის წინაშე, დაერთვება ხელმძღვანელის წერილობითი შეფასება.

- 21.5 დოქტორანტის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე დასაშვებია დისერტაციის თემისა და/ან ხელმძღვანელის შეცვლა დოქტორანტურაში სწავლის ნებისმიერ ეტაპზე. დისერტაციის თემის შეცვლის ან სათაურის დაზუსტებისთვის დამატებით აუცილებელია დოქტორანტის ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა.
- 21.6 სამეცნიერო ხელმძღვანელს საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში უფლება აქვს უარი თქვას ხელმძღვანელობაზე რის თაობაზეც სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგენს დასაბუთებულ ახსნა-განმარტებას.
- 21.7 დოქტორანტისთვის სამეცნიერო თემის და/ან სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის საკითხს განიხილავს და წყვეტს სადისერტაციო საბჭო.
- 21.8 გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რამდენ დოქტორანტს შეუძლია უხელმძღვანელოს სამეცნიერო ხელმძღვანელმა, იღებს სადისერტაციო საბჭო სამეცნიერო ხელმძღვანელის აზრის გათვალისწინებით და მისი დატვირთვიდან გამომდინარე.

მუხლი 22. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა

- 22.1 დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისთვის.
- 22.2 სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი.
- 22.3 დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში სადისერტაციო თემის შეცვლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმის საკითხსა და დოქტორანტურაში სწავლების ვადებს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო.
- 22.4 დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

მუხლი 23. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

- 23.1 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება სტატუსი შეუწყდეს:
 - ა) პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
 - ბ) სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობით, თუ მას მიაჩნია, რომ დოქტორანტი სწავლის დარჩენილ პერიოდში ვერ შეასრულებს ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებულ ელემენტებს;
 - გ) პირადი განცხადების საფუძველზე;
 - დ) სასწავლო პროცესის რეგულირების წესით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 23.2 ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სტუდენტს დოქტორანტის სტატუსი შეუწყდება, თუ შუამდგომლობას მხარს დაუჭერს სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა არანაკლებ 2/3.
- 23.3 დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა ხდება სდასუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე.
- 23.4 დოქტორანტისათვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება შეეცვალოს სადისერტაციო თემა და/ან ხელმძღვანელი

მუხლი 24. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება

დოქტორანტის სტატუსის შეჩერების საკითხი რეგულირდება სდასუ-ს სასწავლო პროცესის რეგულირების წესის შესაბამისად.

მუხლი 25. დოქტორანტურის საფასური და დაფინანსება

- 25.1 დოქტორანტურაში სწავლის საფასური განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

- 25.2 სადოქტორო პროგრამის დაფინანსება ხორციელდება:
- ა) დოქტორანტის ან სდასუ-ს მიერ მოპოვებული გრანტებით;
 - ბ) მიზნობრივი დაფინანსებით—იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, სადოქტორო პროგრამებიდან ან საკვლევი თემებიდან ერთი ან რამოდენიმეს განსახორციელებლად გამოყოფილი სახსრებით;
 - გ) თვითდაფინანსებით—დოქტორანტის მიერ დოქტორანტურაში სწავლის საფასურის დამოუკიდებლად დაფარვით.
- 25.3 სადოქტორო პროგრამაზე სწავლა შესაძლებელია დაფინანსდეს სხვა ისეთი, მათ შორის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული წყაროებიდანაც, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კანონმდებლობას.

თავი III. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი

მუხლი 26. სადისერტაციო საქმისწარმოების დაწყება

- 26.1 დისერტაცია არის დოქტორანტის მიერ დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დამოუკიდებლად შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც დოქტორანტი იცავს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
- 26.2 დოქტორანტს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭება სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების და დისერტაციის წარმატებით დაცვის შემთხვევაში.
- 26.3 სადისერტაციო საქმისწარმოება იწყება სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო თემის დამტკიცებით.

მუხლი 27. დისერტაციის წარდგენის წინაპირობა

- 27.1 დასრულებული სახით დისერტაცია წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.
- 27.2 დისერტაციის წარდგენამდე დოქტორანტი ვალდებულია შეასრულოს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.
- 27.3 დისერტაციის წარდგენისას დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი დადებითი დასკვნა იმის თაობაზე, რომ გაეცნო დისერტაციას, დოქტორანტმა შეასრულა ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული სამუშაო და სადისერტაციო ნაშრომი მზად არის დასაცავად. დასკვნაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ნაშრომის აქტუალობაზე, სტრუქტურაზე, შინაარსზე, ანალიზის სიღრმესა და კვლევის ხარისხზე, სიახლეზე, მონაცემთა სარწმუნოობაზე, გამოყენებულ უახლეს ლიტერატურაზე, ციტირებებზე, აკადემიურ სტილზე და დისერტაციისადმი წაყენებულ სხვა მოთხოვნებზე.
- 27.4. დისერტაციის წარდგენის წინაპირობაა:
- 27.4.1 დოქტორანტის მიერ რეცენზირებად სამეცნიერო პერიოდიკაში (მათ შორის ერთი რეფერირებად სამეცნიერო გამოცემაში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში) გამოქვეყნებული, დისერტაციის თემატიკის შესაბამისი სამი სამეცნიერო სტატია;
 - 27.4.2 დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში სადისერტაციო ნაშრომით გათვალისწინებული პრობლემატიკით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 28. დისერტაციისთვის წაყენებული მოთხოვნები

- 28.1 დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის დასაბუთებულ შედეგს, უნდა იყოს აქტუალური, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე, მასში გადაწყვეტილი უნდა იყოს სამართლის მეცნიერებისთვის პრობლემატურად მიჩნეული ერთი საკითხი

მინც, რითაც დოქტორანტს უნდა შეჰქონდეს საკუთარი წვლილი სამართლის შესაბამისი დარგის განვითარებაში.

28.2 დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

28.3 სადისერტაციო საბჭოს ნებართვით, გამოწვევის შემთხვევებში, დასაშვებია დისერტაციის სხვა ენაზე შესრულება. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტი ვალდებულია სადისერტაციო საბჭოს ქართულ ენაზე წარუდგინოს კვლევის ძირითადი შედეგები.

28.4 სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა პირობითად სამი ნაწილითაა წარმოდგენილი: ფორმალური ნაწილი; არსებითი ნაწილი; დამატებითი ნაწილი.

28.4.1 ფორმალური ნაწილის კომპონენტებია:

თავფურცელი - სადისერტაციო ნაშრომის 1-ლი გვერდი, რომელზედაც განთავსებულია თემის სათაური, ავტორისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი და გვარი, უნივერსიტეტი, რომელშიც დისერტაციის დაცვა შედგება, უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა (ქალაქის დასახელება) და დაცვის წელი.

განაცხადი ეთიკის თაობაზე - სადისერტაციო ნაშრომის ავტორის განაცხადი იმის შესახებ, რომ ნაშრომი არ არის პლაგიატი, ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები, დებულებები მითითებულია დადგენილი წესით, კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია ეთიკის ნორმები. ტექსტის ქვემოთ კეთდება ავტორის პირადი ხელმოწერა. განაცხადისთვის გამოიყოფა ცალკე ფურცელი.

სარჩევი - მიეთითება შესავალი, ყველა თავი, ქვეთავი, დასკვნა, დანართი, ბიბლიოგრაფია.

28.4.2 არსებითი ნაწილი შედგება შესავლის, ძირითადი ტექსტისა და დასკვნისაგან.

შესავალი - სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა გამოიკვეთოს საკვლევი პრობლემატიკა, განისაზღვროს კვლევის აქტუალობა, დასაბუთდეს მისი მნიშვნელობა და აუცილებლობა, წარმოჩნდეს კვლევის მიზნები და ამოცანები, პრობლემის დამუშავების ხარისხი, კვლევის მეთოდოლოგია გამოყენებული მეთოდების რელევანტურობის ჩვენებით, აღიწეროს კვლევის შედეგები, გამოიკვეთოს ძირითადი დებულებები, სიახლე, წარმოჩნდეს დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ძირითადი ტექსტი - შედგება თავებისა და ქვეთავებისგან. მათში ხდება გამოყენებული წყაროების (პრობლემატიკასთან დაკავშირებული ნაშრომების, ნორმატიული აქტების, სასამართლო პრაქტიკის მასალების და სხვ.) აღწერა, შეფასება, სადავო შეხედულებების წარმოჩენა, ჩატარებული კვლევის დაწვრილებით აღწერა გამოყენებული მეთოდების მითითებით, კვლევის შედეგების, საკუთარი მიგნებების, სიახლის (ახალი მიდგომების, წარმოდგენების, პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალური მოდელის, მოვლენის განვითარების კანონზომიერების, არსებული ტერმინების ახლებური განმარტების, ახალი მეცნიერული/დარგობრივი მიმართულების ჩამოყალიბების და ა.შ.) გამოკვეთა. საილუსტრაციო მასალებიდან ძირითად ტექსტში შეიძლება განთავსდეს კვლევის შედეგად დისერტაციის ავტორის მიერ შემუშავებული ცხრილები და გრაფიკები, ავტორის მიერვე შემუშავებული დოკუმენტები პროექტების, მოდელების, ნიმუშების და სხვათა სახით.

დასკვნა - სადისერტაციო ნაშრომის ლოგიკური დასრულებაა, რომელშიც კომპაქტურად ჯამდება კვლევის შედეგები, არსებითად წარმოჩნდება სიახლე და მისი მნიშვნელობა, განისაზღვრება რეკომენდაციები.

ნაშრომს თან ერთვის ბიბლიოგრაფია - გამოყენებული ლიტერატურული და სხვა წყაროების (კანონები, საერთაშორისო აქტები, სასამართლო პრაქტიკის მასალები, ინტერნეტ-მასალები და ა.შ.) ჩამონათვალი ანბანური თანმიმდევრობით - ჯერ ქართულენოვანი გამოცემები, შემდეგ უცხოური.

28.4.3 დამატებითი ნაწილი

ნაშრომს შეიძლება ერთვოდეს სხვადასხვა საილუსტრაციო მასალა - ფოტოები, მზა სტატისტიკური მასალები (ცხრილები, დიაგრამები), სქემები და სხვა დანართები, რომელთა შემუშავება არ მომხდარა დისერტაციის ავტორის მიერ, ასევე კითხვარები. თითოეული ილუსტრაცია დასათაურებული და დანომრილი უნდა იყოს. ძირითად ტექსტში მისი მითითება ხდება ფრჩხილებში ილუსტრაციის სათაურის მისი და გვერდის ნომრის მითითებით. მაგალითად, (იხ. ცხრილი 1. დანაშაულობის ზრდის მაჩვენებლები საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში. გვ. 215)

- 28.5 სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტი არ უნდა იყოს 150 გვერდზე ნაკლები და 210 გვერდზე მეტი. დასახელებული რაოდენობა არ მოიცავს გვერდებს, რომლებზეც განთავსდება დამატებითი მასალები, დისერტაციის ფორმალური ნაწილის კომპონენტები და ბიბლიოგრაფია.
- 28.6 სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემები: ფურცლის ზომა A4, ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. შრიფტი „სილფაენი“, ტექსტის შრიფტის ზომა 12, თავის სათაურის შრიფტის ზომა 14 Bold, ქვეთავის სათაურისა - 12 Bold, სქოლიოსი -10, ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი 1,5, ქვეთავის სათაური თავის სათაურისა და ტექსტისგან გამოიყოფა 2-2 ინტერვალის გამოტოვებით, აბზაცები ერთმანეთისგან გამოიყოფა თითო ინტერვალის გამოტოვებით, ქცხრილები და გრაფიკები ტექსტისგან გამოიყოფა 2-2 ინტერვალის გამოტოვებით. ყოველი თავი იწყება ახალი გვერდიდან; მცირე ზომის სექციებისთვის (სარჩევი/შინაარსი, ცხრილების ნუსხა, სქოლიო, შენიშვნა და სხვ.) აიღება ინტერვალი 1. გვერდის ველები: მარცხენა კიდიდან 3 სმ., მარჯვენა კიდიდან 1,5 სმ., ზედა და ქვედა კიდიდან 2 სმ., აბზაცი - ყველა სტრიქონი, თანაბრად უნდა იყოს დაშორებული შესაბამისი მინდვრიდან. სატიტულოს გარდა, ყველა გვერდი ინომრება არაბული ციფრებით (1; 2; 3...). ნომერი განთავსდება ქვემოთ გვერდის მარჯვენა კიდეში.
- 28.7 ბიბლიოგრაფიული სქოლიოები უნდა გაკეთდეს „ფუტნოტის“ პრინციპით.
- 28.8 გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია) განთავსდება ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით ქართულ, შემდეგ კი - უცხოურ ენებზე. წყაროების ჩამოთვლისას დაცულ უნდა იქნას შემდეგი რიგითობა: წიგნები და მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები პერიოდულ გამოცემებში, დისერტაციები, სახელისუფლო და საერთაშორისო დოკუმენტები, ინტერნეტწყაროები.
- 28.9 გამოყენებული წყაროების ნუსხაში უნდა მიეთითოს:
- 28.9.1 წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:
ავტორის/ავტორების გვარი და ინიციალი/ინიციალები, სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობის დასახელება, გამოცემის წელი.
მაგალითად: ქოჩაშვილი ქ. მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში“. თბილისი, ბონა კაუზა, 2017.
- 28.9.2 პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:
ავტორის/ავტორების გვარი და ინიციალი/ინიციალები, სტატიის სათაური, ჟურნალის სახელწოდება, ტომის ნომერი, გამოცემის ნომერი, გამოცემის წელი.
მაგალითად: გოგიაშვილი გ. „როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს“. ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ №1-2. 2015
- 28.9.3 სახელისუფლო დოკუმენტის გამოყენების შემთხვევაში:
უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი, დოკუმენტის სახე (კანონი, ბრძანება), დოკუმენტის დასახელება, გამოცემის დასახელება, რომელშიც მოძიებულ იქნა დოკუმენტი ან ინტერნეტწყარო ბმულის მინიშნებით.
მაგალითად: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მინისტრის ბრძანება #4 (15.01.2016) საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. <https://napr.gov.ge/p/1502>
- 28.9.4 ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში:
მასალის ავტორი, მასალის დასახელება, ბმულის მინიშნება, მასალის მოძიების თარიღი
- 28.10 სადისერტაციო ნაშრომს თან უნდა ახლდეს გაფართოებული რეზიუმე (ავტორეზიუმე - დისერტაციის შემოკლებული ვერსია ქართულ ენაზე და, შესაბამისი თარგმანით, ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე. ქართული და უცხოენოვანი ვერსიები იკინძება ერთად სტანდარტული A5 ზომის 30-დან 45 გვერდამდე (თითოეულ ენაზე). რეზიუმეს სტრუქტურა სავალდებულო წესით უნდა მოიცავდეს სარჩევს, სადისერტაციო ნაშრომის შესავალს უცვლელად, დისერტაციის თითოეული თავის მოკლე მიმოხილვას, სადისერტაციო ნაშრომის დასკვნას სრულად და გამოყენებულ ძირითად ლიტერატურას. გაფართოებული რეზიუმე სქოლიოებს არ შეიცავს.
- 28.11 გაფართოებული რეზიუმეს ტექნიკური მონაცემები:
ფურცლის ზომა A5, ბეჭდვა უნდა წარმოებდეს ორივე გვერდზე. შრიფტი „Sylfaen“, ტექსტის შრიფტის ზომა 10, სათაურის შრიფტის ზომა 11 Bold, ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი 1, აბზაცები ერთმანეთისგან და სათაურისგან გამოიყოფა თითო ინტერვალის გამოტოვებით; გვერდის ველები: თითოეული კიდიდან 1,5 სმ., აბზაცი - ყველა სტრიქონი, თანაბრად უნდა იყოს დაშორებული შესაბამისი მინდვრიდან.

სატიტულოს (ყდის) გარდა, ყველა გვერდი ინომრება არაბული ციფრებით (1; 2; 3...). ნომერი განთავსდება გვერდის ქვემო მარჯვენა კიდეში. სატიტულო გვარდისა და ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალისადმი მოთხოვნები ისეთივეა, როგორც დისერტაციის შემთხვევაში.

მუხლი 29. დისერტაციის წარდგენა

- 29.1 დოქტორანტი კანცელარიას აბარებს დისერტაციის 2 და ავტორეფერატის 5 აკინძულ ბეჭდურ და თითო-თითო ელექტრონულ (PDF) ვერსიას და სადისერტაციო ნაშრომის თანმდევ დოკუმენტაციას. კერძოდ, დოქტორანტის ახსნა-განმარტებას იმის თაობაზე, რომ ნაშრომი არ არის პლაგიატი, ორიგინალურია, ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო მითითებულია დადგენილი წესით, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობით დასკვნას.
- 29.2 დისერტაცია და წარმოდგენილი მასალები შემოწმების მიზნით განსახილველად წარედგინება საბჭოს მდივანს.
- 29.3 საბჭოს მდივანი სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას გადასცემს პასუხისმგებელ პირს, რომელიც ამოწმებს დისერტაციას ანტიპლაგიატის სისტემაში და აფორმებს ოქმს.
- 29.4 საბჭოს მდივანი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის ჩაბარებიდან ორ კვირის ვადაში აშუადებს შესაბამის დასკვნას დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული კომპონენტების, დისერტაციისა და ავტორეფერატის სტანდარტების დაცვით შესრულებისა და თანმდევი დოკუმენტაციის შეფასების თაობაზე.
- 29.5 საბჭოს მდივნისა და სადისერტაციო ნაშრომის ანტიპლაგიატის სისტემაში შემოწმების დადებითი დასკვნების შემთხვევაში სადისერტაციო საქმისწარმოების გაგრძელების საკითხს განიხილავს სადისერტაციო საბჭო.
- 29.6 დისერტაციის წარდგენისთანავე მისი გაფართოებული რეზიუმე განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე
- 29.7 დისერტაციასა და თანმდევ დოკუმენტაციაში საბჭოს მდივნის მიერ ხარვეზის დადგენის შემთხვევაში დოკუმენტაცია უბრუნდება დოქტორანტს და განესაზღვრება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.
- 29.8 დისერტაცია წარდგენილად ითვლება სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვისა და ოპონენტების დანიშვნის შემთხვევაში.
- 29.9 დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის საფასურის გადახდისგან სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის მომდევნო სემესტრიდან.

მუხლი 30. ოპონენტების დასკვნები დისერტაციის შესახებ

- 30.1 დისერტაციის წარდგენისას სადისერტაციო საბჭო ნიშნავს არანაკლებ ორ ოპონენტს.
- 30.2 დისერტაციის ოპონენტად შეიძლება დაინიშნოს სადისერტაციო საბჭოს წევრი ან სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის სადისერტაციო საბჭოს წევრი და რომელსაც აქვს კვლევის გამოცდილება დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამართლის შესაბამისი მიმართულებით.
- 30.3 ოპონენტი დასკვნას სადისერტაციო საბჭოს მდივანს წარუდგენს მისთვის დისერტაციის გადაცემიდან 2 თვის განმავლობაში.
- 30.4 შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე ოპონენტი იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ; ბ) დისერტაციის დაცვაზე უარის თქმის შესახებ.
- 30.5 თუ ორიდან ერთი ოპონენტი უარყოფით დასკვნას დაწერს, დამატებით დაინიშნება ოპონენტი, რომელსაც დასკვნის წარმოსადგენად ეძლევა 1 თვე.
- 30.6 თუ ოპონენტთა უმრავლესობა უარყოფით დასკვნას დაწერს, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება
- 30.7 სადისერტაციო საბჭოს მდივანმა დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს ოპონენტთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დაცვის თარიღი, დრო და ადგილი. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე უნდა გავიდეს 1 თვე მაინც.

30.8 დოქტორანტს ეძლევა უფლება გაეცნოს ოპონენტთა დასკვნებს.

მუხლი 31. დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა

დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა ორი ოპონენტის დადებითი დასკვნა.

მუხლი 32. დისერტაციის დაცვის დანიშვნა

32.1 დისერტაციის დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, დოქტორანტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ნიშნავს დისერტაციის დაცვის დღეს.

32.2 დისერტაციის დაცვის ორგანიზაციულ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამართლის სკოლა.

მუხლი 33. დისერტაციის დაცვა

33.1 სადისერტაციო (დარგობრივი) კომისია აირჩევა სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო თემის შესაბამისი სამართლის მიმართულების სპეციალისტებისაგან ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით დისერტაციის დაცვამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

33.2 სადისერტაციო (დარგობრივი) კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, მდივნისა და წევრებისაგან. სადისერტაციო კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ 7 წევრისგან მაინც. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ 2 წევრი უნდა იყოს სამართლის შესაბამისი მიმართულების წარმომადგენელი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელიც არ არის სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრი. სადისერტაციო კომისიაში გადამწყვეტი ხმის უფლებით მონაწილეობენ ოპონენტები.

33.3 მდივანი ვალდებულია დისერტაციის დაცვამდე ერთი თვით ადრე სადისერტაციო კომისიის წევრებს ელექტრონულად გადაუზავნოს: ა.დისერტაციის ელექტრონულ ვერსია; ბ.დისერტაციის შეფასების კრიტერიუმები;

33.4 სადისერტაციო კომისიის წევრი ვალდებულია გაეცნოს დისერტაციას და შეფასების არსებულ კრიტერიუმებს.

33.5 სადისერტაციო კომისიის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

33.6 გარდა სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის წევრებისა, სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

33.7 დაცვის პროცესი მოიცავს:

- ა) სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის მიერ დღის წესრიგის პროექტის გაცნობას და დამტკიცებას;
- ბ) დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის წევრების, ოფიციალური ოპონენტების წარდგენას სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის მიერ;
- გ) დოქტორანტის პერსონალური მონაცემებისა და სასწავლო-სამეცნიერო აქტივობის შესახებ ინფორმაციის გაცნობას სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის მდივნის მიერ;
- დ) დოქტორანტის მიერ თემის წარდგენა-პრეზენტაციას, რომლის ხანგრძლივობა, არ უნდა აღემატებოდეს 40 წუთს;
- ე) დისერტანტის პასუხს სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების, ასევე დამსწრე საზოგადოების შეკითხვებზე, რაც დროში რეგლამენტირებული არ არის;
- ვ) ოპონენტების მიერ დასკვნის წარდგენას, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15-15 წუთს და დისერტანტის პასუხს შენიშვნებზე;
- ზ) სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის წარდგენა-დახასიათებას არაუმეტეს 10-10 წუთისა;
- თ) აზრის გამოთქმას სადისერტაციო კომისიის წევრებისა და დამსწრე საზოგადოების მიერ (არაუმეტეს 3-3 წთ);
- ი) დისერტაციის დაცვის შეფასებას დახურულ სხდომაზე საგანგებოდ მოწყობილ სივრცეში ფარული წესით;
- კ) დისერტაციის დაცვის შეფასების შედეგების გაცნობას;

ლ) დოქტორანტის 5-წუთიან დასკვნით სიტყვას.

- 33.8 სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შედეგების დათვლის მიზნით, სადისერტაციო კომისიის წევრებისგან აირჩევა ხმის დამთვლელი კომისია სამი წევრის შემადგენლობით. ხმის დამთვლელი კომისია აფორმებს სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შედეგებს შემაჯამებელი ოქმის სახით.
- 33.9 ერთ დღეს ერთი სადისერტაციო კომისიის წინაშე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.
- 33.10 დისერტაციის დაცვა შედგება საქართველოს სახელმწიფო ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დასაშვებად იქნება მიჩნეული დისერტაციის დაცვა სხვა ენაზე, დისერტანტი ვალდებულია უზრუნველყოს იურიდიული განათლების მქონე კვალიფიციური თარჯიმნის მონაწილეობა დაცვის პროცესში.
- 33.11 დაცვის პროცესის მსვლელობასა და შედეგზე დგება სადისერტაციო კომისიის ოქმი. დისერტაციის დაცვის პროცესის დოკუმენტირება ხდება, ასევე, აუდიო/ვიდეო ჩანაწერით, რომელიც წარმოადგენს ოქმის შემადგენელ ნაწილს.
- 33.12 ოქმის წარმოებას უზრუნველყოფს სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის მდივანი.

მუხლი 34. დისერტაციის შეფასება

- 34.1 სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას დისერტაციის შეფასების შესახებ იღებს ფარული წესით, უშუალოდ დაცვის შემდეგ დახურულ დასკვნით სხდომაზე.
- 34.2 სადისერტაციო (დარგობრივი) კომისია დისერტაციის შეფასებას განახორციელებს დანართი #4 შესაბამისად. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობას არ იღებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. დისერტაციის შეფასების საშუალო მაჩვენებელს გამოიყვანს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე.
- 34.3 დისერტაცია დაცულად მიიჩნევა, თუ სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს დადგენილი მაქსიმალური შეფასების 51 %-ს და მეტს.
- 34.4 დისერტაციის შეფასება განხორციელდება შემდეგი სისტემით:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	summa laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
81-90 ქულა	magna laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
71-80 ქულა	cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
61-70 ქულა	Bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
51-60 ქულა	Rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
41-50 ქულა	Insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო)
0-40 ქულა	sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

- 34.6 სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე ღიად აცხადებს კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც აისახება სადისერტაციო კომისიის სხდომის ოქმში.
- 34.7 თუ დისერტაციამ დაიმსახურა „არადამაკმაყოფილებელი“ (41-50 ქულა) შეფასება დოქტორანტს ეძლევა 1 წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.
- 34.8 არსებითი ხასიათის ხარვეზების გამო დისერტაციის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ (41-ზე ნაკლები ქულა) შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

- 34.9 წარმატებით დაცული სადისერტაციო ნაშრომის ერთი ნაბეჭდი და ელექტრონული (PDF) ვერსია, ასევე ავტორეფერატის 5 ნაბეჭდი და ელექტრონული (PDF) ვერსია გადაეცემა სდასუ-ს ბიბლიოთეკას დაცვიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.
- 34.10 სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით დაცვის შემდეგ - დისერტაციის ერთი ნაბეჭდი და ელექტრონული (PDF) ვერსია, ასევე ავტორეფერატის 2 ნაბეჭდი და ელექტრონული (PDF) ვერსია ჩაბარდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკას დაცვიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.
- 34.11 დაცული სადისერტაციო ნაშრომი განთავსდება სდასუ-ს ვებ-გვერდზე.

მუხლი 35. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის მიერ დისერტაციის დაცულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას განიხილავს და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის - (Ph.D in Law) მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 36. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

- 36.1 სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება დასტურდება სამართლის დოქტორის დიპლომის გაცემით.
- 36.2 დიპლომის ასლი ინახება უნივერსიტეტის არქივში.
- 36.3 დიპლომის გაცემამდე შესაბამის პირზე გაიცემა ცნობა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

თავი V. სამართლის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება

მუხლი 37. სამართლის საპატიო დოქტორის წოდება

- 37.1 სამართლის დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის და/ან ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს შეიძლება მიენიჭოს სდასუ-ს სამართლის საპატიო დოქტორის – doctor iuris causa (Dr.iur.h.c.) – აკადემიური წოდება.
- 37.2 სამართლის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას სადისერტაციო საბჭოს წარდგინების საფუძველზე იღებს სდასუ-ს აკადემიური საბჭო.

თავი VI. დასკვნითი დებულებები

მუხლი 38. დასკვნითი დებულებები

- 38.1 სადისერტაციო საბჭოს წევრთა და დოქტორანთა უფლება-მოვალეობის, აგრეთვე დოქტორანტურაში სწავლასთან და დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლებიც არ არის ასახული წინამდებარე დებულებაში, მოწესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით, დოქტორანტურის სტანდარტით, სდასუ-ს დებულებით, სასწავლო პროცესის რეგულირების წესით და სამართლის სკოლის დებულებით.
- 38.2 სადისერტაციო საბჭოს საქმიანობასთან, დოქტორანტურაში სწავლასთან და სწავლებასთან, აგრეთვე დისერტაციის დაცვასთან და სდასუ-ს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაწყდება სადისერტაციო საბჭოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის, სდასუ-ს დებულების, ეთიკის კოდექსით, სამართლის სკოლის დებულებითა და წინამდებარე დებულებაში მოცემული ნორმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მოდავე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სდასუ-ს აკადემიურ საბჭოს ან სასამართლოს.

მუხლი 39. სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების შეიმუშავება და ძალაში შესვლა

- 39.1 სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებას შეიმუშავებს სამართლის სკოლის საბჭო და ამტკიცებს სდასუ-ს აკადემიური საბჭო.
- 39.2 სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება ძალაში შედის სდასუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე
- 39.3 სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის წინამდებარე დებულების ამოქმედების დღიდან მასში ყოველგვარი ცლილება-დამატება ძალაში შევა ცვლილება-დამატებების პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.
- 39.4 რექტორის ხელმოწერისთანავე წინამდებარე დებულება განთავსდება სდასუ-ს ვებ-გვერდზე.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის რექტორს,

პროფესორ თეიმურაზ ქორიძეს

განმცხადებელი _____
(სახელი, გვარი)

მისამართი _____

ტელ: _____

ელფოსტა: _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს, სწავლა გავარგრძელო საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის დოქტორანტურაში

სადოქტორო პროგრამაზე _____
(სადოქტორო პროგრამის დასახელება)

სადოქტორო დისერტაციის სავარაუდო თემა (სადოქტორო საკვლევ თემა) _____

_____ (თემის სახელწოდება)

თემის სავარაუდო ხელმძღვანელი

_____ (სახელი, გვარი)

გთხოვთ, დამიშვათ უცხოური (ინგლისური) ენის გამოცდაზე/მილიაროთ სერტიფიკატი (ასეთის არსებობის
შემთხვევაში)

_____ (_____)
(სერტიფიკატის დასახელება) ქულა

ვადასტურებ, რომ ვაკმაყოფილებ დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებულ მიღების
პირობებს და სრულად წარმოგიდგენთ დებულებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

პატივისცემით,

“ _____ ” 20 ____ წელი

განმცხადებლის ხელმოწერა

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის რექტორს,

პროფესორ თეიმურაზ ქორიძეს

განმცხადებელი _____
(სახელი, გვარი)

ა ხ ს ნ ა - გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

ბატონო თეიმურაზ,

ვადასტურებ, რომ არ ვაბარებ და არც ვსწავლობ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში (არც უარი მიმიღია სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში მიღებასა და/ან ჩემს მიერ შერჩეული თემის დამუშავებაზე).

პატივისცემით,

(სახელი, გვარი)

თარიღი: _____



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დოქტორანტის ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: -----

სკოლა: -----

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: -----

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: -----

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: -----

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი, ბრძანება: -----

სასწავლო კომპონენტი	კურსის სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	დოქტორანტის მიერ კრედიტების შესრულებისთვის არჩეული სემესტრი
აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	სავალდებულო	5 კრედიტი	1
კვლევითი სემინარი (1)	სავალდებულო	15 კრედიტი	1
კვლევითი სემინარი (2)	სავალდებულო	15 კრედიტი	2
ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევისა და სწავლებაში	არჩევითი	5 კრედიტი	1-2
მეცნიერების მენეჯმენტი	არჩევითი	5 კრედიტი	1-2
სწავლების თანამედროვე მეთოდები	არჩევითი	5 კრედიტი	1-2
პროფესორის ასისტენტობა	არჩევითი	5 კრედიტი	1-2

1.* არჩევითი (არჩევის შემთხვევაში) სასწავლო კურსები:	1. 2. 3. 4.
--	----------------------

2. * სამეცნიერო სტატიების (პუბლიკაციების) შესრულების სავარაუდო გრაფიკი და თემატიკა:

ა) I სამეცნიერო სტატია -----

ბ) II სამეცნიერო სტატია -----

გ) III სამეცნიერო სტატია -----

3. * საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (დასახელება, ჩატარების თარიღი, ადგილი) ----

სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: -----

4. სადისერტაციო ნაშრომის მოკლე აღწერილობა:

ა) კვლევის მიზნები და ამოცანები: -----

ბ) საკითხის აქტუალობა, ჰიპოთეზა, სიახლე და მნიშვნელობა: -----

გ) სავარაუდო შედეგები: -----

დ) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა: -----

ე) შესრულების სავარაუდო გრაფიკი : -----

დოქტორანტის ხელმოწერა: -----

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელების ხელმოწერა: -----

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა: -----

თარიღი: -----

შენიშვნა: 1.*, 2.*, 3.* პუნქტები ივსება ხელით.

დანართი 4



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ფურცელი

დოქტორანტის სახელი და გვარი: -----
 სკოლა: -----
 სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: -----
 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: -----
 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: -----
 დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: -----
 დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: -----
 სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: -----

შეფასების მეთოდი და კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმები	შეფასება	კომპონენტის შეფასება ქულებით	შეფასების დასაბუთება
წერილობითი/ნაშრომის სახელწოდება	ნაშრომის სახელწოდება ინფორმაციული თვალსაზრისით ზუსტია და ლაკონური; სათაური შეესაბამება მის ტექსტს.	3 -5 ქულა		
	ნაშრომის სათაური შინაარსობლივად აცდენილია ტექსტთან. განხილული საკითხები არ შეესაბამება ნაშრომის თემას და სტრუქტურას.	0-2 ქულა		
წერილობითი/სტრუქტურა	ნაშრომი არის კარგად სტრუქტურირებული და იძლევა დასახული კვლევითი ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას. კეთდება აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა, შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონე ფაქტებს. ნაშრომი არის კარგად აგებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. პარაგრაფიდან პარაგრაფზე (ქვეპარაგრაფიდან ქვეპარაგრაფზე) გადასვლა ლოგიკურ ბმაშია. თითოეული პარაგრაფი/ქვეპარაგრაფი სრულად არის განვრცობილი და სხვა.	3 - 5 ქულა		
	სტრუქტურა არავალიდურია. ზოგიერთი პარაგრაფი არარელევანტურია კვლევის მიზნებთან მიმართებაში. დისერტაცია გადატვირთულია არამნიშვნელოვანი, მეორეხარისხოვანი მასალებით. არ	0-2 ქულა		

	იგრძნობა თანამიმდევრობა, ლოგიკური ბმა.			
წერილობითი/ აქტუალობა და შინაარსი	სადისერტაციო ნაშრომი აქტუალურია; დისერტაციაში დასმული ძირითადი პრობლემა/პრობლემები სრულად არის წარმოჩენილი. ვლინდება დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი; ავტორის მიზანი მკაფიოა, არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსურია. ნაშრომი კონცენტრირებულია ძირითად საკვლევ საკითხებზე; აზრი სისტემურად არის ფორმირებული და სრულყოფილად ჩამოყალიბებული. დისერტაციის კვლევითი ამოცანა/ამოცანები სრულადაა გადაწყვეტილი.	8 -17 ქულა		
	საკვლევი პრობლემა, თემის აქტუალურობა და კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა არაკვალიფიცირებულად არის ჩამოყალიბებული ან საერთოდ არ არის. ნაშრომში კვლევის მიზნები და შედეგები არასრულყოფილად არის გადმოცემული.	0-7 ქულა		
წერილობითი/ ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი	სახეზეა სადისერტაციო თემის სისტემური კვლევა და კავშირი კვლევის მიზნებთან და შედეგებთან. ეფექტურად არის გამოყენებული კვლევის ადექვატური მეთოდები. ავტორის მიერ ყველა იდეა განვითარებულია. საკვლევი საკითხი შესწავლილია სიღრმისეულად, ამომწურავად. ავტორის პოზიცია გამყარებულია ნათელი და სარწმუნო არგუმენტებით.	10-20 ქულა		
	კვლევის მეთოდები არაკვალიფიციურად არის შერჩეული. კვლევის ხარისხი დაბალია და ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას;	0-9 ქულა		
წერილობითი/ ნაშრომის სიახლე	მოხდა ახალი ცოდნის შექმნა. დისერტანტის მიერ დარგში შეტანილი წვლილი მნიშვნელოვანია. კვლევის შედეგები დამაჯერებელია. შემუშავებულია საკვლევი პრობლემისადმი ახლებური მიდგომა. არის ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის. დასკვნებში სუსტი ადგილები არ მოიპოვება. დასკვნები ლოგიკურია. დასკვნითი დებულებებისა და რეკომენდაციების პრაქტიკული ღირებულება მნიშვნელოვანია.	10-20 ქულა		
	კვლევის მოსალოდნელი შედეგები არაკვალიფიცირებულად, ყოველგვარი	0-9 ქულა		

	ლოგიკურობისა და დასაბუთების გარეშე ჩამოყალიბებული. კვლევა არ შეიცავს სიახლეს.			
წერილობითი/ მონაცემთა სარწმუნოება	საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროები, სამეცნიერო და ციტირებული ლიტერატურა, ფაქტობრივი მონაცემები დამუშავებულია სრულად და კრიტიკულად. მონაცემების სისწორე დაცულია. გამოყენებული წყაროები ავტორიტეტულია. ავტორი მონაცემებს იღებს პირველწყაროდან. მოყვანილი ციტატები ტექსტს ერწყმის ორგანულად და მოტანილია შესაბამისი ლიტერატურიდან. ყველა ციტირებული წყარო აღნიშნულია ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში. გამოყენებულია შესაბამისი შინაარსის და საკმარისი რაოდენობის უახლესი პუბლიკაციები. წყაროები სპეციფიკურია და არა ზოგადი; გამოყენებულია უცხოურენოვანი ლიტერატურა.	4 - 8 ქულა		
	გამოყენებული ლიტერატურა მოძველებულია, არარელევანტურია. წყაროები არასაკმარისია. მითითებული ციტირებები ან ფორმალურ ხასიათს ატარებს ან კიდევ არასრულყოფილად არის გაანალიზებული. უახლოესი პერიოდიკა არ არის გამოყენებული. სქოლიოები სხვა ლიტერატურიდან არის მექანიკურად გადმოტანილი. გამოყენებული უცხოურენოვანი ლიტერატურა არასაკმარისია.	0-3 ქულა		
წერილობითი/ აკადემიური წერის სტილი	აკადემიური წერის უნარ-ჩვევები სრულყოფილია. ნაშრომი აკმაყოფილებს სადისერტაციო ნაშრომისათვის დადგენილ აკადემიური წერის სტანდარტებს; კვლევაში სახეზეა მსჯელობის თანამიმდევრული განვითარება. დოქტორანტმა შეძლო ანალიზისა და სინთეზის კვლევაში გამოყენება.	3 -5 ქულა		
	ნაშრომის გაფორმების დონე არაადაკმაყოფილებელია. ვლინდება ენობრივი ხარვეზები. აზრები ბუნდოვანია. აკადემიური წერის კულტურა დაბალია.	0-2 ქულა		
წერილობითი/ მითითება	ციტატები ბრჭყალებშია მოცემული. სქოლიოში მითითებულია შესაბამისი ციტატის ავტორი, თავად ნაშრომის სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, შესაბამისი გვერდ(ებ)ი; პერეფრაზის ან	3 -5 ქულა		

	აზრის ფორმირების შემთხვევაში სქოლიოში ზუსტად არის მითითებული შესაბამისი წყარო. მითითებისას დაცულია დათქმული წესი.			
	მითითების სანდოობა ეჭვს იწვევს. სახეზეა სქოლიოების სიმცირე. ინერნეტ რესურსის გამოყენებისას დაცული არ არის მითითების დათქმული წესი.	0-2 ქულა		
ზეპირი/ პრეზენტაცია, სამეცნიერო დისკუსია	ნაშრომის ძირითადი საკვანძო საკითხები და მიღებული შედეგები სრულად აისახა პრეზენტაციაში; დისერტანტი იშველიებდა არგუმენტებსა და ფაქტებს; საუბრობდა პროფესიული ენით; ჰქონდა გამართული აკადემიური მეტყველება; პრიორიტეტები ლოგიკურად შეარჩია; ჰქონდა ლოგიკური გადასვლები; დაიცვა რეგლამენტი; შეძლო აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარება; გამოავლინა სამეცნიერო დისკუსიისა და კამათის კულტურა; გამოიყენა თემასთან ადეკვატური სლაიდები და სხვა სახის ვიზუალური მასალა; შეკითხვებზე დამაჯერებლად, არგუმენტირებულად პასუხობდა.	7-15 ქულა		
	ვლინდება საკითხის არცოდნა. პასუხები არადამაჯერებელია. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის. კვლევის შედეგების განსჯა არაკვალიფიცირებულია. არასათანადოა სამეცნიერო დისკუსიის უნარი; პრეზენტაციისათვის გამოყენებული მასალა არადამაკმაყოფილებელია.	0-6 ქულა		
საბოლოო შეფასება (ცალკეული კომპონენტების ჯამის ტოლია)		51 - 100 ქულა		

სადისერტაციო კომისიის წევრ(ებ)ის ხელმოწერა: -----

სადისერტაციო კომისიის თავმჯდომრის ხელმოწერა -----

თარიღი: -----